უკრაინის კულტურის სამინისტროს კომისია ლავრაში მივიდა კიევ-პეჩერის ღირს მამათა წმინდა ნეშტების „სარევიზიოდ“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.03.2025. 2025 წლის 25 მარტს უკრაინის კულტურის სამინისტროს კომისია მივიდა წმინდა მიძინების კიევ-პეჩერის ლავრის „ქვედა“ ტერიტორიაზე, სადაც მან კიევ-პეჩერის ღირს მამათა წმინდა ნეშტების „რევიზია“ უნდა ჩაატაროს. კომისიის წარმომადგენელთა ჯგუფი შეიკრიბა ლავრის ახლო მღვიმეების შესასვლელთან, – იუწყება კიევ-პეჩერის ლავრის ოფიციალური ტელეგრამ-არხი. მღვიმეებთან ვითარება მშვიდია, ადგილზე მუდმივად იმყოფებიან სავანის საძმო და ადვოკატები, – **გვიყვებიან** ლავრის პრეს-სამსახურში.

კიევ-პეჩერის ლავრაში დავანებულთა „წმინდა ნეშტების შესამოწმებლად“ სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ მარტის დასაწყისში გამოცხადდა. შემოწმება 30 მაისამდე უნდა დასრულდეს. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თუ კომისიის მუშაობის პროცესში გამოვლინდა „კულტურული ფასეულობების განსაზღვრის ქვეშ არსებული ნივთები, მაშინ უნდა შედგეს შესაბამისი სიები და ანგარიშს დაერთოს“. კულტურის სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ უწყებაში კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია

„შეზღუდული წვდომის“ გრიფით იქნება კლასიფიცირებული, – **იუწყება** TACC.

კიევის ხელისუფლება თანმიმდევრულად ავიწროებს და აძევებს უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას კიევ-პეჩერის ლავრიდან. 2023 წლის მარტში ამავე სახელწოდების მუზეუმ-ნაკრძალმა კანონიკურ ეკლესიასთან საიჯარო ხელშეკრულება გაწყვიტა. იმავე წლის ივლისის დასაწყისში ლავრაში მივიდა უკრაინის კულტურის სამინისტროს კომისია, შეცვალა საკეტები და დალუქა კორპუსი. მრევლი შეეცადა შეწინააღმდეგობოდა, მოაწყვეს ლოცვითი დგომა. თუმცა, ნაკრძალის თანამშრომლებმა და კომისიის წევრებმა თავის „მუშაობაში“ პოლიცია ჩართეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93019/